16/01/2026

MES 2 26 0000032149

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 27.12.2025
სხდომის დაწყების დრო: 11:00
სხდომის დასრულების დრო: 13:58
საბჭოს თავმჯდომარე:ლევან შავაძე I, IV, V
სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი II, III
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში – აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** -სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** -შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** -ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ნარგულ ასანიძე** -სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. **თეა მჭედლური** -შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;

6. **ციური დურული** -სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
7. **ქეთევან ნანობაშვილი** -შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
8. **დავით კაპანაძე** -სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
9. **თამარ ზარანდია** -სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
10. **ირინა ლობჟანიძე** -სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
11. **ვლადიმერ ადეიშვილი**- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
12. **ქრისტინე ახალაძე**- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
13. **მაქსიმ იავიჩი**- შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

- **ანა ქერაშვილი**- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
- **გიორგი ირემაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- მაკა ბერიძე - რექტორი
- ნინო მილაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
- ლელა წითაშვილი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
- ლერი ნოზაძე - ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი
- გულნარა ჯანელიძე - ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- ომარი კიკვიძე - საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი
- პაატა გერაძე - საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის ხარსისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

- გია დადუნაშვილი - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის “საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა” ხელმძღვანელი
- გიორგი ჩაჩუა - ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერება” ხელმძღვანელი
- მანანა ჭუმბურიძე - ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- აკაკი გირგვლიანი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერება” ხელმძღვანელი

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

- კახა შენგელი - კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი
- დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი
- შოთა ნიჟარაძე - კავკასიის ტექნოლოგიების სკოლის დეკანი
- მაქსიმ იავიჩი - პროგრამის ხელმძღვანელი
- გიორგი იაშვილი - პროგრამის თანახელმძღვანელი

აკრედიტაციის ექსპერტები

პაპუნა ქარჩავა I
მარიამ მაჭავარიანი I
მიხეილ ბიჭია I
სეიფედინ კადრი (Seifedine Kadry) II
თამთა ცხოვრებაძე II
ნინო ჯოლია II
გიორგი იაშვილი II, IV
პეტრიკა ვიზურეანი (Petrica Vizurean) III
ზურაბ ავალიშვილი III
ნინო ქიმერიძე III
თინათინ ცინცაძე III
ოფრი ნორმან დიკი (Geoffrey Norman Dick) IV, V
ია ნაცვლიშვილი IV, V
ლია კურტანიძე IV, V
ლია ხარებავა IV, V
ნანი არაბული V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ **ლევან შავაძემ.**

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო და "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვის და ტექნიკური ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის (აშშ) "კიბერუსაფრთხოების“ ერთობლივი ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის (აშშ) "კომპიუტერული მეცნიერების" ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო და "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვის და ტექნიკური ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის (აშშ) "კიბერუსაფრთხოების“ ერთობლივ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის (აშშ) "კომპიუტერული მეცნიერების" ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი:სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია
ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე ვერ დაესწრო საბჭოს სხდომას და მისი სიტყვა დამსწრეებს გააცნო თარჯიმანმა:
„როგორც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით შექმნილი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვადასტურებ, რომ შეფასება განხორციელდა აკრედიტაციის სტანდარტებისა და დადგენილი პროცედურების შესაბამისად.
ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ ორივე პროგრამა, მთლიანობაში, აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს; სტანდარტების უმეტესობა შეფასდა როგორც „შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, ხოლო რიგი კომპონენტები, განსაკუთრებით 1-ლი და მე-5 სტანდარტების ფარგლებში, შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“. ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა გაუმჯობესების საჭიროებები, რომლებიც უკავშირდება სწავლის შედეგებს, პროგრამის შეფასებაზე დაფუძნებულ განვითარებას, დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, აგრეთვე სამაგისტრო საფეხურზე კვლევით და ფინანსურ მდგრადობას.
საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამების კლასტერი აკმაყოფილებს აკრედიტაციის მოთხოვნებს.“

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები
უნივერსიტეტის რექტორმა, მაკა ბერიძემ დადებითად შეაფასა განხორციელებული ვიზიტი. მისი თქმით, გაცემული რეკომენდაციების უმრავლესობა უკავშირდება სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგების შეფასების პროცესებს და მათში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. რეკომენდაცია ისახავს შესრულების გრძელვადიან პერსპექტივას, ანუ დაინტერესებული მხარეები სისტემატიურად უნდა ერთვებოდნენ პროცესში. პროგრამის გადახედვა და სწავლის შედეგების შეფასება ყოველწლიური სისტემატურობით ხორციელდება, როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის ჩართულობით, თუმცა დამსაქმებლების ჩართულობა არ არის ყოველწლიური. ექსპერტებს შეეძლოთ ენახათ დამსაქმებლების ჩართულობა და დამსაქმებლებისთვის კითხვარში სწავლის შედეგებისა და პროგრამის მიზნებისთვის განკუთვნილი ცალკე პუნქტები. რეკომენაცია ითხოვს, რომ დამსაქმებლების მხრიდან შეფასება უნდა განხორციედეს ყოველ წელიურად და არა სამ წელიწადში ერთხელ, შუალედური ანგარიშის ფარგლებში. უნივერსიტეტი მზადაა შეასრულოს ეს რეკომენდაცია. სწავლის შედეგებში აქტიური ზმნების გამოყენებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის პოზიციით, სწავლის შედეგებში აქტიური ზმნები გამოყენებულია შესაძლებლობების ფარგლებში. მაკა ბერიძის თქმით, ექსპერტების რეკომენდაციები ფორმულირებულია შემდეგნაირად: „უფრო გააქტიურდეს“, „შედარებით დაიხვეწოს“. როგორც ჩანს, საჭიროა უფრო მეტი ყურადღების გამახვილება, მეტი აქტიური ზმნების შეტანა და უნივერსიტეტს არც ამ რეკომენდაციასთან აქვს რაიმე საწინააღმდეგო. სასიხარულოა, რომ რეკომენდაციები არ ეხება სილაბუსებსა და შინაარსს. უნივერსიტეტი მზადაა სისტემატიური

და დოკუმენტირებული გახადოს სწავლის შედეგების შეფასებაში დამსაქმებლების მონაწილეობა. ასევე, გადაიხედოს სწავლის შედეგების ფორმულირება და მათში გამოყენებულ იქნას უფრო მეტი აქტიური ზმნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა იკითხა, რატომ არ არის პროგრამის სავალდებულო ნაწილში შეტანილი IT პროექტების მართვა და პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია, რასაც ითხოვს დარგობრივი მახასიათებელი. როგორ უზრუნველყოფს პროგრამა, რომ კურსდამთავრებულს შეეძლოს IT პროექტების შემუშავება. ასევე აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამაში არ იძებნება ეთიკის კურსი და იკითხა, ზოგადად, როგორ იგეგმება დარგობრივი მახასიათებლებით გათვალისწინებული საკითხების დაფარვა.

მაკა ბერიძემ განმარტა, რომ საბაკალავრო ნაშრომი პროგრამაში არის პროექტის სახის, რაც მოცემულია სავალდებულო სახით. ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, ლელა წიტაშვილმა აღნიშნა, რომ „პროექტების მართვა“ არის არჩევითი კურსი. რაც შეეხება ეთიკის შესახებ გაცემულ რეკომენდაციას, რამდენიმე ძირითად სილაბუსში არის მოცემული პასუხისმგებლობა, კვლევის ეთიკა. მან აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტში გამორჩენილი იყო სტუდენტური კონფერენციების ნაწილი. 15 დეკემბერს უნივერსიტეტმა ჩაატარა მესამე საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია, სადაც ჩეხეთის, პორტუგალიის, აზერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოს თითქმის ყველა უნივერსიტეტის სამივე საფეხურის სტუდენტები მონაწილეობდნენ.

ქეთევან ნანობაშვილმა დააზუსტა კითხვა, რომ პროექტების მართვა არის გუნდური პროცესი და რამდენად მოხერხდება ამის გათვალისწინება საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში. მან დაამატა, რომ სასურველი იქნებოდა, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია ყოფილიყო სავალდებულო ან IT პროექტის მართვა, რაც ჯგუფური პროექტით დასრულდებოდა. ასევე, დასამატებელი იქნება ეთიკის სასწავლო კურსიც.

ლელა წიტაშვილმა განმარტა, რომ საბაკალავრო პროგრამაში ეს კურსი მოცემულია არჩევითად. პროგრამების ხელმძღვანელმა, გულნარა ჯანელიძემ დაამატა, რომ ეთიკის საკითხები მოცემულია „მონაცემთა უსაფრთხოებაში“ და „კიბერუსაფრთხოებაში“, ხოლო 13-კვირიანი სასწავლო კურსის შემოტანა არ არის მიზანშეწონილი, რადგან ეთიკა პირდაპირ კავშირშია პირად მონაცემებთან და განხილული უნდა იყოს ინფორმაციული უსაფრთხოების ფარგლებში.

ქეთევან ნანობაშვილმა გააკეთა კომენტარი, რომ დარგობრივი მახასიათებლების დოკუმენტების მიხედვით, ეთიკა კიდევ სხვა საკითხებსაც მოიცავს.

საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა საბაკალავრო ნაშრომის შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა თითოეული შეფასება იყოს აღწერილი, ჩაშლილი. შესაფასებელი კომპონენტები კი კარგად არის გაწერილი.

საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ სთხოვა ექსპერტებს დაეზუსტებინათ თუ რას ითხოვენ რეკომენდაციებში, რომლებიც ეხება პროგრამის მიზნების რეგულარული გადახედვის ფორმალური მექანიზმის შექმნასა და სტანდარტიზებული ანგარიშგების შაბლონის შემუშავებას, რადგან ეს სრულფასოვნად ცხადი არ იყო დასკვნაში.
აკრედიტაციის ექსპერტმა, მიხეილ ბიჭიამ აქტიური ზმნების გამოყენებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ჯგუფის აზრით მიზანშეწონილია პასიური არაკონკრეტული ზმნების ნაცვლად გამოყენებულ იქნას კონკრეტული აქტიური ზმნები, მაგალითად, ნაცვლად „გამოუმუშავებს პრაქტიკულ უნარებს რეალურ სამყაროში“, გამოყენებულ იქნას „შექმნის“, „განახორციელებს“ან

სხვა ამ ტიპის ზმნა. ასევე, ნაწილობრივ ბუნდოვანი იყო მატრიცაში კავშირი პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის, რაც ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის. „რეკომენდებულია, შემუშავდეს სტანდარტიზებული ანგარიშგების შაბლონი კურსების მიხედვით სწავლის შედეგების შეფასების შესაჯამებლად, რაც ხელს შეუწყობს მონაცემების შეგროვებას და ხანგრძლივ ანალიზს“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მონაცემებს აგროვებენ ხელმძღვანელები და ჩართული იყო ხარისხის სამსახურიც, თუმცა საჭიროა კავშირი შეფასების მონაცემებსა და პროგრამაში კონკრეტულ ცვლილებებს შორის უფრო სისტემურად და გამჭვირვალედ იყოს დოკუმენტირებული. ირინა ლობჟანიძის დამაზუსტებელ კითხვაზე უპასუხა, რომ უნივერსიტეტი ნამდვილად ატარებს კვლევას, თუმცა რეკომენდაცია მიზანმიმართული იყო გაუმჯობესებაზე.

„რეკომენდებულია, თითოეულ სილაბუსში და არა მხოლოდ შეფასების ინდივიდუალურ კომპონენტში განისაზღვროს საბოლოო გამოცდის ჩაბარებამდე კურსის დასრულების მინიმალური ზღვარი“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ ითხოვა დამატებითი განმარტება.

მაკა ბერიძემ უპასუხა, რომ თითოეულ კომპნენტს აქვს ქულა და შიდა ზღვარი. გარკვეულ სილაბუსებში კომპონენტებს შორის შიდა ზღვარი არის მითითებული, თუმცა დამატებით უჯრაში არ არის დაჯამებული შუალედური შეფასების კომპონენტები და არ არის მითითებული შიდა ზღვარი. მაგალითად, თუ შუალედური შეფასება არის 60, მითითებულია თითოეული კომპონენტის შიდა ზღვარი, მაგრამ აღარ არის მითითებული საერთო ჯამი, რომ სტუდენტმა უნდა მიიღოს ჯამში 31 ქულა. ეს არის ტექნიკური საკითხი და არაფერი დაშავდება თუ დაემატება ერთი უჯრა.

სხდომაზეგამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:37
დასრულების დრო: 12:50

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით 2032 წლის 27 დეკემბრამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}-ემუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}-ემუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 27 დეკემბრამდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით 2032 წლის 27 დეკემბრამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 13
წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ემუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ემუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 27 დეკემბრამდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეორე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო და "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√კი
თვითაცილება განაცხადეს ლევან შავაძემ და ვლადიმერ ადეიშვილმა, თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა აკადემიური და შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სეიფედინ ქადრიმ დამსწრეებს გააცნო დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი ჩაჩუამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ ძირითადად რეკომენდაციები ეხებოდა მიზნებისა და სწავლის შედეგების რეფორმულირებას. რეკომენდაციები ეხებოდა მხოლოდ შედეგების ნაწილს და შეცვლილი შედეგები უკვე ასახულია პროგრამაში. „რეკომენდებულია, გაასწოროთ საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა, რათა უკეთ იქნას გათვალისწინებული ინდივიდუალური კურსების სირთულე და მოთხოვნები“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ავტორებს მიეცათ აკადემიური თავისუფლება კურსის მიზნებიდან გამომდინარე გადაენაწილებინათ საათები და საკითხი მოეყვანათ შესაბამისობაში რეკომენდაციის მოთხოვნასთან. ასევე, სილაბუსებში თანამედროვე ლიტერატურის გამოყენებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამჟამად თანამედროვე ლიტერატურა გამოყენებულია კურსებში, თუმცა დარგის დინამიურობიდან გამომდინარე ლიტერატურის განახლება იქნება სისტემატური პროცესი.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა დასვა კითხვა. მას აინტერესებდა, „კიბერუსაფრთხოების სამართლებრივი ასპექტების“ კურსის სამართლებრივი საკითხების გარდა, მოიცავს თუ არა პროგრამა დარგობრივი მახასიათებლებით გათვალისწინებული ეთიკის საკითხის სხვა ასპექტებს.
გიორგი ჩაჩუამ უპასუხა, რომ ეთიკის თემა სხვა კურსებშიც არის მოქცეული, როგორიცაა: „ეთიკური ჰაკინგი“, „საბაკალავრო ნაშრომი“, „IT პროექტების მართვა“. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დაამატა, რომ სამაგისტრო პროგრამაში არის რიგი კურსები, სადაც განხილულია ეს საკითხები, მაგალითად, „სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია“, „სისტემების უსაფრთხოება და დაცვა“.
ექსპერტმა, გიორგი იაშვილმა დაამატა, რომ საბაკალავრო პროგრამაში „გამოყენებითი უსაფრთხოების“ პრაქტიკულ კურსში იყო დაფარული პერსონალურ მონაცემთა და “ონლაინ-ტრექინგის“ ეთიკის საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი კითხვები.

სხდომაზეგამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 12:02
დასრულების დრო: 12:21

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით 2032 წლის 27 დეკემბრამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ემუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ემუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედტაცია კლასტერის ვადით, 2032 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით 2032 წლის 27 დეკემბრამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ემუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ემუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 27 დეკემბრამდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მესამე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვის და ტექნიკური ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ისაცილება
√არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√კი
თვითაცილება განაცხადეს ლევან შავაძემ და ვლადიმერ ადეიშვილმა, თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა აკადემიური და შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, პეტრიკა ვიზურეანიმ აღწერა განხორციელებული ვიზიტის ძირითადი გარემოებები და აღნიშნა, რომ ხუთი სტანდარტიდან ორი სტანდარტი შეფასდა როგორც „შესაბამისი“ სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო სამი - „მეტწილად შესაბამისი“. ასევე, მან მიმოიხილა დასკვნაში აღნიშნული რეკომენდაციები და რჩევები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები
ფაკულტეტის დეკანმა, ომარ კიკვიძემ, რეკომენდაციასთან დაკავშირებით „რეკომენდებულია, გაიზარდოს ტექნიკური და ლაბორატორიული დამხმარე პერსონალის რაოდენობა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკული კომპონენტების ეფექტური და უსაფრთხო განხორციელება.“, აღნიშნა, რომ სპეც-დისციპლინებთან მიმართებით ამჟამად მუშაობს 3 ლაბორანტი, რომლებიც ემსახურებიან მხოლოდ სპეც-დისციპლინების ლაბორატორიულ სამუშაოებს. მან ითხოვა ექსპერტებისგან დაზუსტება, რომელიმე კონკრეტულ ლაბორატორიას ხომ არ მოიაზრებენ, სადაც საჭიროა რაოდენობის გაზრდა.
"საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვისა და ტექნიკური ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, გია დადუნაშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის და გამოთქვა მზაობა რეკომენდაციების შესასრულებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები
„რეკომენდებულია, ძირითად ტექნიკურ საგნებში გაძლიერდეს მხარდაჭერის ინიციატივები, იმისათვის, რომ სტუდენტებმა მიიღონ სათანადო აკადემიური მომზადება პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის.“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, ქეთევან აფთარაშვილმა ითხოვა დაზუსტება ექსპერტებისგან, რატომ არის რეკომენდაცია თუ დასკვნაში აღნიშნულია, რომ სამართლებრივად მიღების წინაპირობები გამართულია და მხარდამჭერი აქტივობებიც დანერგილია.
ექსპერტმა, ზურაბ ავალიშვილმა უპასუხა, რომ მასალათმცოდნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სადაც საჭიროა „კრისტალო-ფიზიკა“, „ფიზიკური ქიმია“, ექსპერტიზა და სხვა კომპონენტები, პროგრამის დაძლევისთვის აუცილებელია შესაბამისი მიღების წინაპირობები. უნივერსიტეტს აქვთ გასვლითი პროგრამა სკოლებისთვის. დაინტერესებული მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანი იქნება კონსულტირება პროგრამის მოთხოვნებთან ადაპტირების კუთხით.
გია დადუნაშვილმა დაადასტურა, რომ პროგრამა მუშაობს აბიტურიენტებთან; მაგალითად, ქმნის ფიზიკასა და მათემატიკაში სამუშაო ჯგუფებს, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია მისაღებია.
ქეთევან აფათარაშვილმა ითხოვა დაზუსტება, 4.1 და 4.3 კომპონენტებში, 2.2 და 4.3 კომპონენტებში გაცემული რეკომენდაციების დუბლირებებთან დაკავშირებით.

ზურაბ ავალიშვილმა უპასუხა, რომ კვლევითი კომპონენტის გაუმჯობესება ბევრ ასპექტზეა დამოკიდებული. სასწავლო პრაქტიკის გასავლელად უნივერსიტეტს უნდა ქონდეს თავისი ბაზა და პროცესი რეგულირდებოდეს აკადემიური პერსონალის მიერ. რეკომენდაციები 4.1 და 4.3 კომპონენტებში არ არის დუბლირებული, რადგან საკითხი პრობლემას ქმნის ორივე კომპონენტის ფარგლებში.
ომარ კიკვიძის თქმით, ზოგად-ტექნიკურ დისციპლინებში (მაგ: ფიზიკაში, ქიმიასა და მასალების მექანიკაში) და ლაბორატორიულ სამუშაოებს ასრულებს სხვა დეპარტამენტი. უშუალოდ პროგრამის განმახორციელებელ დეპარტამენტს ჰყავს 3 ლაბორანტი, რომელთა შესახებაც სავარაუდოდ ინფორმაცია არ არის მოწოდებული.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:20
დასრულების დრო: 13:26

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვის და ტექნიკური ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით 2032 წლის 27 დეკემბრამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ემუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ემუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვის და ტექნიკური ექსპერტიზის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 27 დეკემბრამდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეოთხე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის (აშშ) "კიბერუსაფრთხოების“ ერთობლივ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√კი
თვითაცილება განაცხადა მაქსიმ იავიჩმა თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია
ექსპერტმა, ლია კურტანიძემ დადებითად შეაფასა განხორციელებული ვიზიტი და აღნიშნა, რომ მხოლოდ ერთი სტანდარტი შეფასდა „მეტწილად შესაბამისად“, ხოლო დანარჩენები - „სრულად შესაბამისად“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამა ხორციელდება 2 წელია და რეაკრედიტაცია მოუწია წლევანდელი კლასტერის ფარგლებში. პირველი აკრედიტაციისას პროგრამას არ განესაზღვრა რეკომენდაციები, თუმცა ამის მიუხედავად, პროგრამა შემდგომ პერიოდში განვითარდა და უფრო დახვეწილი წარსდგა რეაკრედიტაციისას. ექსპერტა ჯგუფმა გაითვალისწინა არგუმენტირებული პოზიცია და 2 რეკომენდაციიდან 1 გადაიტანა რჩევაში. სწავლის შეფასების მექანიზმში სამიზნე ნიშნულების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოწოდებულია არგუმენტირებულ პოზიციაში, ხოლო ხსენებული მინიმალური ზღვრები არ იყო ნახსენები დასკვნის პროექტში და შესაბამისად, არც არგუმენტირებულ პოზიციაში. ამ თემასთან დაკავშირებით ვიზიტზე დაისვა კითხვა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ პასუხი გაზიარებულ იქნა ექსპერტების მიერ. ცოდნის შეფასებისას, მინიმალური ზღვარი შუალედურ კომპონენტებს არ აქვს განსაზღვრული, რასაც განსაზღვრავს მინისტრის ბრძანება. პროგრამას არ აქვს დაწესებული მინიმალური ზღვარი სტუდენტის ცოდნის შეფასებისა და კრედიტის მინიჭებისთვის, მაგრამ შედეგების მექანიზმში ეს არის გათვალისწინებული დასათვლელ ფორმულაში. მაგალითად, თუ ლექტორმა შეფასების ინსტრუმენტად აირჩია შუალედური გამოცდა და პირობითად ჯგუფში არის 20 სტუდენტი, მაშინ ფორმულა დადებითად (კომპონენტის მიღწევად) თვლის თუ სტუდენტს 20 ქულიდან 51% აქვს დაგროვებული. შესაბამისად, მინიმალური ზღვარი შედეგების შეფასების მიზნით ყველა კომპონენტზე დადგენილია და არის 51% თუ ლექტორი შეფასებისთვის მთლიან კომპონენტს აიღებს. თუ პროგრამა აირჩევს ერთ კონკრეტულ საკითხს, მაშინ პროგრამისთვის უფრო მარტივი შესაფასებელია დადებითია თუ უარყოფითი. ამას აფასებს ელექტრონული პროგრამა. უნივერსიტეტის ოცდაექვსმა პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია აღწერილი პრინციპით და ამ მიმართულებით ხარვეზი არ დადგენილა, მათ შორის, არც ამ სკოლის 5-პროგრამიან კლასტერთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი კითხვები.

სხდომაზეგამოცხადდასათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 13:39
დასრულების დრო: 13:44

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის (აშშ) "კიბერუსაფრთხოების“ ერთობლივ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით 2032 წლის 27 დეკემბრამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის (აშშ) "კიბერუსაფრთხოების“ ერთობლივ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 27 დეკემბრამდე.

მეხუთე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის (აშშ) "კომპიუტერული მეცნიერების" ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√კი

თვითაცილება განაცხადა მაქსიმ იავიჩმა თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ჯოფრი ნორმან დიკმა დამსწრეებს გააცნო დასკვნაში მოყვანილი გარემოებები რეკომენდაციებსა და რჩევებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები
დიანა მჭედლიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის და აღნიშნა, რომ ამ პროგრამაშიც იყო იგივე რეკომენდაცია შედეგების შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით რაც „კიბერუსაფრთხოების“ პროგრამაში. აღნიშნული ელექტრონული მექანიზმი უკვე 2 წელია რაც დანერგილია ბიზნესის სკოლაში და დაიხვეწა “ASCB” აკრედიტაციის პროცესში. ელექტრონული პროგრამა, რომელშიც ჩაშენებულია სწავლის შედეგების მექანიზმი, ითვლის თითოეულ კომპონენტზე დაწესებული მინიმალური ზღვრის მიხედვით. თუ ლექტორი მთლიანად აიღებს შუალედურ ან ფინალურ შეფასებას და მაგალითად, მაქსიმალური ქულაა 20, მაშინ მაქსიმალური ქულის 51%-ს პროგრამა ჩათვლის დადებითად. ეს საკითხი არ ყოფილა დაკონკრეტებული ვიზიტის დროსა და არგუმენტირებულ პოზიციაში. თუმცა ეს არ გულისხმობს იმას, რომ სტუდენტის ცოდნის შეფასებისას, კრედიტის მინიჭებისას პროგრამა აწესებს მინიმალურ ზღვარს. ეს ხდება მხოლოდ შედეგების მიღწევის ნაწილში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს არ დაუსვამთ დამატებითი კითხვები.

სხდომაზეგამოცხადდასათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:39
დასრულების დრო: 13:44

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის (აშშ) "კომპიუტერული მეცნიერების" ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 7 წლის ვადით 2032 წლის 27 დეკემბრამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 12
წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის და ფერლი დიკინსონის უნივერსიტეტის (აშშ) "კომპიუტერული მეცნიერების" ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 27 დეკემბრამდე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 27 დეკემბერს 13:58 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე